ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის, ნინო მშვიდობაძის 2025 წლის იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 23. 10. 2025 წელი 14:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ნინო მშვიდობაძე, საკრებულოს თამჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ლოლიტა ურუშაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ნინო მშვიდობაძე შეხვდა გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი
- საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ ნინო მშვიდობაძემ წარმოადგინა 2025 წლის იანვრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. ასევე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრი. ასევე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის ლანჩხუთის საბჭოს წევრი. ის აქტიურადაა ჩართული საკრებულოს კომისიების და ფრაქციის მუშაობაში, რომელთა სხდომებზე ინტენსიურად აყენებს როგორც გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულის მოსახლეობის საჭიროებებს, ასევე, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხს. გარდა ამისა, სასიკეთო ძვრებისა და განხორციელებული სხვადასხვა პროექტების გამო მადლობა გადაუხადა იმ გუნდს, რომელსაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, გასულ წლებში მუნიციპალიტეტში პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე შეეხო გაზიფიცირების და წყალმომარაგების საკითხებს და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ერთეულები სრულიად გაზიფიცირებულია.

ასევე, სუფსაში დასრულდა იუსტიციის სახლის მშენებლობა. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქში შეიცვალა მრავალბინიანი სახლების სახურავები შეიცვალა. ასევე ქალაქში მოასფალტდა და რეაბილიტირდა შიდა მიმოსვლის გზები.

ნინო მშვიდობაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროექტები განხორციელდა მიმდინარე წელს სოფლის პროგრამით. კერძოდ: შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით მოწყობა, განხორციელდა დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სტადიონის რეაბილიტაცია, ასევე, სოფელ ჯუნეწერში სრულად რეაბილიტირდა სკვერი, სტადიონი, სკვერში მოეწყო გარე განათება და ფანჩატური, დამოტაჟდა მაგიდა და სკამები; შეიღობა სოფლის სასაფლაო.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებში აშენდა 174, ხოლო სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 257 საჯარო სკოლას. 2026 წლისთვის ყველა საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება გამართული ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით. სკოლები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, კეთილმოეწყობა კლას-კაბინეტები, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, ექიმის(ექთანის) კაბინეტები, სპორტული მოედნები და ეზოები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქალაქ ლანჩხუთში სრულად რეაბილიტირებულია მესამე და პირველი საჯარო სკოლები, ასევე ლესის და გულიანის საჯარო სკოლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მალე დასრულდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ცენტრი.

ნინო მშვიდობაძე ასევე შეეხო მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამულ ნაწილში სიახლეებს და აღნიშნა, რომ ფრაქციის ინიციატივით სოციალურ პროგრამაში რამდენიმე სიახლე განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ არის ოთხი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი და მეორე ვადით არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე. ყოველივე

ამის გათვალისწინებით, მისთვის ძალიან კარგადაა ცნობილი იმ პრობლემების შესახებ, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, აქტიურად მუშაობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი პრობლემა მოგვარდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ნინო მშვიდობაძე აქტიურად არის ჩართული საკრებულოს კომისიების და ფრაქციის მუშაობაში, სხდომებზე საუბრობს არამარტო გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულში, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე.

ნინო მშვიდობაძემ მოსახლეობის სახელით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსაგვარებელია ტრანსპორტის მომსახურების  საკითხი, რადგან იგი ოთხი საათის შემდეგ აღარ მოძრაობს. მათი თხოვნაა, რომ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი მოერგოს სამუშაო საათს და მოსახლეობას მოემსახუროს 6 საათამდე. საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად ამ კუთხით მუშაობენ და ეტაპობრივად ეს პრობლემა იქნება მოგვარებული.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ნინო მშვიდობაძე აქტიურადაა ჩართული საკრებულოს მუშაობაში, კომისიების და ფრაქციის  სხდომებზე ინტენსიურად აშუქებს როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ პრობლემებს, ასევე ყურადღებას ამახვილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებზე. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ხორციელდება მრავალი ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ სხვადასხვა პროექტი, გასაკეთებელი მაინც ბევრია. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ მათი მუშაობის შედეგად გადაიჭრას მოსახლეობის პირველადი მოთხოვნის პრობლემები, მაგრამ მუნიციპალიტეტს არ აქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ საკუთარი სახსრებით მოაგვაროს ყველა მათგანი. თავის მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის მერი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ და ცდილობენ შესაძლებლობიდან გამომდინარე მოსახლეობისთვის

საკეთილდღეოდ გადაწყდეს ესა თუ ის საკითხი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში შიდა ტრანსპორტის გადაადგილებას, ეს საკითხი ნამდვილად პრობლემატურია და დროულად უნდა მოგვარდეს. აუცილებელია, რომ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი მორგებული იქნას მოსახლეობის საჭიროებებზე.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს თანადგომისა და ყურადღებისთვის. ნინო მშვიდობაძემ თავის მხრივ აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს წევრი, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შეძლებისდაგვარად გადაწყდეს ყველა ის ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. აქტიურ მუშაობას გააგრძელებს, რათა მომდევნო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,
ნინო მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს"
მოადგილე